



გაუგარძმს საქ. კოაპერატივის
მე-VII-ე ყრილობას!!!


გაუგარძმს
კოაპერატივს!

ДА ЗДРАВСТВУЕТ
VI ЗАК. С'ЕЗД КОМПАРТИИ!

გაუგარძმს
კოაპერატივს!

მე-VII-ე
საქ. კოაპ.
ყრილობა ს'ეზდ (ზაკ) კ. პ.

12 562



შოშოლიანი:
— რას ამბობენ, რა ხდება ნეტავ ყრილობაზე?
— რაც არ უნდა სთქვან, ჩვენთვის სახიროსო მაინც
არაფერი მოხდება.

J. H.

ფუჭი ოცნება

— ვასიკო, ბიჭო, არა გრცვენი, რომ „ახალ მთავრობასთან“ გამოჩნდები ჩვენსას?—ხომ არაფერი მიწყენინებია შენთვის? „ძალი რომ კუდილი მიმათრევდეს“ ბიძა შენი ვარ, ღვიძლი ბიძა. შენ ხომ ჩემს ხელში აღზრდილი ხარ?..

მიუალურა თავის ღისწოლის, კომკავშირულ ვასიკოს, სილიბისტრო შხამაძემ, რომელიც თავის სოფელში შეძლებულ მოსახლეთ ითვლებოდა წინათ, დღეს კი, მეტი რომ არ ვთქვათ, საბჭოთა წყობილების მტერი გამხდარიყო.

— რა გქნა ბიძა ჩემო. იმდენი საქმეები მაქვს, იმდენი, რამდენიც თავზე თმა. ერთი წუთი მოცალეობა არა მაქვს. თუმცა კაცმა რომ თქვას, მაინც და მაინც არც ისე დიდი სურვილი მაქვს თქვენთან მოსვლის. ჩვენ შორის, ბიძა ჩემო, დიდი ხანია „ხიდი ჩატყდა“: შე ახალ ცხოვრების მშენებელი ვარ, კომუნისტური საზოგადოებისათვის მებრძოლი. შენ კი უკან გეწევი, ჩვენი მტერი ხარ. რა საერთო უნდა გვქონდეს ჩვენ ერთმანეთთან?... სიცილ-ხარხართ ამბობდა ვასიკო.

სილიბისტროს ნემსივით ჩხვლეტდა ვასიკოს ყოველი სიტყვა.

— შენ, ფი, ვის უბედავ მაგეებს! გესლიანი ღიმილით შეუტია სილიბისტრომ მას და იმ წუთშივე კილო შეიცვალა.

— ხო, მართლა, კინაღამ დამივიწყდა, რომ შენ „კომწომოლი“ ხარ. გამიბედავ კი არა მეტსაც მიზამ. კი მარა, ბიჭო, თქვენ ხომ ღარიბ-ღატაკების პარტია ხართ. მეც ხომ ღატაკი ვარ. ყველაფერი წამართვით. რაღა გინდათ ეხლა ჩემთან. პირიქით, პარტიაში უნდა ჩამწეროთ. მეც ხომ თქვენი ვარ. მარა მაგას თავი დაეანებოთ. შენ ის მითხარი: გულახდილათ, პირდაპირ: როგორაა თქვენი

საქმე? ღმერთი თქვენ არ გწამთ და კაცი! ერთი შეფე გვეყავდა და ისიც ჩამოაგდეთ. ვისაც რამე გვქონდა, მოგვტაცეთ, წაგვართვით...

ვასიკო, ერთი ეს მითხარი: პარტიის კონფერენციაზე სტებენ, არა ერთმანეთს? მემარჯვენეები გამოვიდნენ არა? ვაცხონე მათი მარჯვენა! მაგათ დაუტხიათ თქვენთვის!.. ხელჩართული ბრძოლა ყოფილა. შენც ხომ არ მოგზვედენია? თქვი რაღა, ნუ გრცხვენია! ეხლანდელი ხელმძღვანელების მაგიერ თვითონ ჩაუგდიათ ძალა-უფლება ხელში. ეხლა ხომ ყველაფერი დაგვიბრუნდება! რას იცინი? ვითომ და მართლა არ იცის! თავს ნუ იკატუნებ ბიძა! ისეთმა კაცმა მითხრა, რომ მას ტყუილიც დაეჯერება. დაბალი მხით სთქვა სილიბისტრომ.

— რას ამბობ, ბიძა ჩემო? ყველაფერი ეს „ტყუილიზაცია“ და მეტი არაფერი. პარტიულ კონფერენციაზე არც მემარჯვენე და არც მემარჯვენე არ გამოსულა. არც ერთი ჩვენი კონფერენცია ისე ერთსულოვნათ არ ჩატარებულა, როგორც ეს უკანასკნელი. ნეტავი ვინ მოჭრა ეს „სიბრძნე“? ამბობდა ვასიკო და სიცილს ვერ იკავებდა.

— იცინი რაღა? ჩვენი კოწია ხომ ტყუილს არ იტყოდა!.. სთქვა სილიბისტრომ და თავი ჩალუნა.

— როგორ კოწია დაბნეულადემ გითხრა ეს? მერე და მას დაუჯერე? ის ხომ ბიძა ჩემო, „ყოფილი კაცია“! რომელიც ალბათ ჩვენი კონფერენციით „გულზე სკდება“! იცი ბიძა ჩემო რას გირჩევ, თავი დაანებე ფუჭ ოცნებას! სულერთია, წარსულ ცხოვრებას ვერ დაიბრუნებ. მშვიდობით, კრებაზე შეჩქარება! — ვასიკომ ცივათ ჩამოართვა სილიბისტროს ხელი და თავის გზას გაუდგა.


შუშპარა.



— დავგავიანდება, კაცო. კრება 7 საათისათვის არის მოწყვეტილი, — მერე რა! ჯერ კიდევ ბევრი დრო გვაქვს, ცხრა სათამლე არ შეიკრიბებიან!

ყოფილი ვაჭრის მოგონება

ბი დედასა, რა დრო დავკარგე, დრო მოგებისა, დრო სანტაროს! რაც კი მებადა, სულ მთლად წაგვადე, დამიშრა ტბილი ცხოვრების წყარო. მქონდა ქონება უძრავ-მოძრავი და მასთან ერთად მქონდა პატივი. ეხლა დამხავის თავზე მე ყუავი და გულს მიკოდავს კოპოპერატორი. ვაჭრობაც მქონდა განიდებული ვეიდი საქონელს ნაღდად და ნარდად ვეყავ ცხოვრებით გალადებული ნაკლოვანება არ მქონდა დარადი. სასწავლებელში შევიღებხვ ვწრდიდი და ცოლიც მყავდა კობხად ჩაცნული, ვაჭრებში მქონდა ხახელი დიდი, ვაჭარი ვეყავ სახელგანთქმული. ეხლა რაღა ვარ, არაფრის მქონე, აღარც დუქანი, არც საქონელი; აღარც უანი მაქვს, დავკარგე ღონე და დამიწვარილდა კისერი სქელი. რომ გაუქმავს ჩემს ნაღუნარზე მუშეკოს პასუი უწარმაწარი, როცა შეგებდავ, ვიზღები ჭკვანე დავებებები ვით ცოცხალ-მკვდარი. ჩემი ნოქრები, წინათ რომ მყავდა, დუქნებს განაგებს ეხლა სულუკვალა, ჩემი ცოლიც კი ისე გატყდადა. დადის უკანოდ და ფეხშიშველა. რა გქნა, რა ვუყო ასეთ ცხოვრებას, ვთ შევიგუო ფულეებს ჩემულში, შემომეღია ძველი ქონება, დავდივარ წალვარ-გამოსეფლი. შინაური.



— ექიმო, ფეხი მოვიტებ! — მა, წამალი დადიე, 20-20 წვე თი, ღლეში სამეგრ!

პორტოლი მაქვს ვებერთელა, მისი თრევი არ მაქვს გაცი. სავსე არის, ყველგან დამაქვს მიტომ მქვია „საქმის კაცი“.

უფროსებთან შეღია ვარ, უმცროსებს კი—ღღინს გავაცილი, ისე ფევირი მე ხმაძალთა, როგორც მართლა „საქმის კაცი“.

კრებზედაც გამოვდივარ, ახალ წვერებ-მონაპარსი. თითო საათს ვლაპარაკობ, რადგანაც ვარ „საქმის კაცი“.

ჩემთან მოხვალ, ხმას არ გაქცემ და სიტყვის თქმას არც შენ გაცილი; გადისტუმრებ უპასუხოთ, რადგანაც ვარ „საქმის კაცი“.

როცა ფული მომიდება, მე სალაროს ავაცანდლი. აცანდები ხშირად გამაქვს, შვირდება, ვარ „საქმის კაცი“.

მიკვირს მხოლოდ რევიზია მუშაობას რათ არ მაცილი; გამსახლბის რად მაგზავნის... მისთვის, რომ ვარ „საქმის კაცი“? ბარცხანმელი გუგულია

სხანა ტელეფონთან ნატანავი

— ვინ არის ტელეფონთან? ა? გალაქტიონ სამსონიძის ოჯახობა? თვით გალაქტიონი სად არის? რა? ნარდს თამაშობს აბაზიანი დავიღვებახე? რა? გალაქტიონის ნახევა სასადილოში შეიძლება! სამუშაო დროს რა უნდა სასადილოში? აა? თქვენ ასრულებთ მის მოვალეობას, როგორც ცოლი? ხოო, ძალიან კარგა... მაშ ხახვამის!

მირ-სკი

კირილ მისონ კირილი

იქნებ რომელიმე თქვენგანს, ძვირფასო მკითხველებო, ქუთაისში ჩასვლა მოუხდეს.

გახსოვდეთ ერთი რამ: იმდენი უნდა ეცადო, რომ აღვილობრივ გამსახლოვებულ სახლში არ ამოაქყო თავი.

გამსახლში უღონო არავისი იდეალი არ არის, მაგრამ ქუთაისის გამსახლი მაინც განსაკუთრებულია რამ არის და ამიტომ ფრთხილად!

ერთდეთ ქუთაისის გამსახლს, რადგანაც იქ უფროსობს მოქალაქე ვერხილე წიფწივაძე, კაცი ცოტა ჭაბჭაურა, ცოტა უპირი და ცოტა მოპოლი-ციელოც... ესე იგი გვინდა ვთქვათ, რომ მეფის დროს იგი პოლიციელი იყო და ძველი ადამ-ჩვეულებები ძველი ხურჯინივით თან დააქუს.

კირილ მისონ კირილე კირილე კაცი! გამსახლში პარტიზარი ვერ გაჭაჭანდება, რომ კირილემ არ სცემოს. ვერც პარტიზარი ქალი იბოგინებს, რომ კირილე არ შეეპარტიყოს. (მოვიგონოთ პარტიზარი ქალები ნ. თუთაბერიძე, ნ. გოგოძე, ზედამხედველი ქალი, პარტიზართა ცოლები და სხ., რომლებიც ისე გულქვანი აღმოჩნდნენ, რომ კირილე ახლოც არ გაიკარეს).

ერთად ერთი „დადებითი“ თემა, პა კირილესი არის მისი კოლეგიალობა. იგი იმდენად „იმპანაგური“ და გატანია“, რომ მთელი წლის განმავლობაში გამსახლის აპარატში გამოიქცალა მხოლოდ:

კომენდანტი	11
უფროსი ზედამხედველი	10
უმცროსი ზედამხედველი	35
ჯამი	56 კაცი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ წელიწადში 365 (ხან 366) დღეა, გამოდის, რომ ზემოდასახელებული რიცხვი ფრიალ მცირეა. მართლაც, მთელ კვირაზე მოდის ერთი თანამშრომლის გამოცემა, მაშინ, როცა თუ კაცი მოინდობს, შეგიძლია ყოველდღე დაითხოვო და მიიღო ორი—სამი კაცი.

ამ „დადებით“ თვისებებში უნდა ჩაირიცხოს კირილეს ფიზკულტუროსონობა: იგი საუცხოვოდ იეარჯიშებს მუშტებს პარტიზართა ზურგზე, ისე რომ შორიდან კაცს დოღის ხმა ეგონება.

ამას გარდა, კირილე საუცხოვოდ ეხმარება მსუბუქ კვალიერობას. მან გაითვალისწინა, რომ აქტიური კავალერისტი დატვირთული სრულიად

არ უნდა იყოს და ამიტომ სამსახურიდან „განათავისუფლა“ გამსახლის საუკეთესო კომენდანტი, აქტიური კომკავშირელი, მს. კავალერიის ორგანიზატორი და რედაქტორის თავრე ბ. კარტოზია, რომელსაც შემდეგ რევოლუციით სდევდა.

აი, სად გატარდა ერთმმართველობა! კიდევ მეტი: წიფწივაძის დიქტატურა!

მართალია, ამბობენ, რომ მას ყავს უახლოესი მეგობრები: შ. სვანიძე—მევენზე, გ. ცერცვაძე—ყოფ. ოფიცერი და ადკომი—ჯანგავაძე, რომლებიც ყოველი შორიდან უბურავენ! სულს წიფწივაძის ცეცხლს, მაგრამ დიქტატურა მაინც წიფწივაძის ხელშია.

რა ახლოს არის მოქ. წიფწივაძე გამსახლთან და რა ძნელი ყოფილა მასი შეყვანა თვით გამსახლში, მხოლოდ არა გამსახლის უფროსად!

ჩვენის აზრით, წიფწივაძე სასამართლოს წესით უნდა იქნას არჩეული გამსახლის საპარტიო პარტიზარ და ეს რაც ჩჭარა იქნება, მით უკეთესია პარტიზარის ზურგისთვის, თვითკრიტიკისთვის და საერთოდ უანსალი მუშაობისთვის.

მელიტონი.

„ინვალიდთა“ „ბრძოლა“



— ექიმო, გვერდები მტკივა!
— ნუ დადიხართ ქალაქის კლუბში!

არსებობს ტფილისში ინვალიდთა არტელი „ბრძოლა“, სადაც უმეტესად მოკალათებული არიან ყოფილი ვაჭრები.

— ჩვენ წმენდა ვერ შეგვაშინებს, რადგან ჩვენ ნამდვილი ინვალიდები ვართ! — ამბობენ ისინი და ამტკიცებენ:

— ინვალიდი ისეთ კაცს ჰქვია, რომელსაც დაკარგული აქვს თავისი ხელობის უნარი. ჩვენაც დაკარგული გვაქვს თავისი ხელობის (ვაჭრობის) უნარი, რადგან აღმასკომმა გადასახადებით ტყავი კულის რიკამდე გაგვაძრო. — მართლაც ბრძოლა გვაქვს ჩვენი ვაჭრული არსებობისათვის და ამიტომაც ჰქვია ჩვენს არ ტელს „ბრძოლა“.



ჩიორტული თარგმანი

კიდევ კარგი, რომ ჩვენსავით მოცლილი და უსაქმო სხვები არ არიან, თორემ ისინიც შეამჩნევდნენ ქუჩებში სხვადასხვა წარწერებს, რომლებიც, თუ მელოტი არ ხართ, თმას ყალყზე დაგიყენებდნენ.

დღესაც ბევრია ქუჩებში ასეთი წარწერები, როგორიც ამას წინედ იყო — მაგალითად:

დანიელ ჭონჭაძეს „დავით ჩონკაძე“ უწოდეს და ასე მონათლეს ყოფ. გულოვიჩის ქუჩა. ჭავჭავაძე და წერეთელი ასე თარგმნეს — „ჩაჩავაძე“ და „წერტელი“.

დიდუბეში „ულიცა ბორბი“ „ქიდაობის ქუჩა“-დ გადათარგმნეს.

აი, სად არის საჭირო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია!

წმინდაზე

— თქვენი წარმოშობა? ვისი შვილი ხართ?
— მამა ჩემი მღვდელი იყო, მაგრამ დღემით არ ხწამდა. მონაწილობას დებულვოდა (ჯაშუში იყო) 1905 წ. რევოლიუციოში. უკანასკნელ რევოლიუციის დროს უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

გაკვრით ბორჯომზე

ერთი ახირებული ჩვეულება მაქვს: ტფილისში სიტყვით მოუტყვის თუ არა, გავუსწირებ ხალხს აგარეკებზე მივლინებებს.

ამას, რასაკვირველია, ბევრი მუშაკი გაურჩაბის პრინციპისათვის, მაგრამ მე როგორც „უპრინციპო“ კაცს ამ შემთხვევაში — მომეტეება, ტარტაროში მაინც კი მომიტევენ, რადგან მისი საკბილო მასალებით დეტვირული ჩამოვიდვიარ ხოლმე ტფილისში.

კვირა დღე იყო. ბორჯომის მატარებელმა მსობიარე ქალივით მიაცივლა ბორჯომს. ბორჯომში პირველად მენახა. ცხადია მოსაწონია და კარგი, მაგრამ ჩემზე ყველაზე უფრო კარგი შთებადღელება დასტოვა მელიქსინელების „კამანდამ“; ჯგუფჯგუფად რომ დასე-რნობენ ტუჩებში.

— დღეს ველოსიპედისტების შეჯიბრება ხომ არ არის?

— რის შეჯიბრება, კაცო; ბორჯომში ისეთ კაცს ვერ ნახავ, რომ ველოსიპედი არ ჰქონდეს. ეს ძალიან კარგია.

— რაა კარგი? დაიკვა მაგის მომონი, რაც მაგი ბორჯომში ჩამოიტანეს, მას შემდეგ დაწესებულვებაში თანამშრომელს ვეღარ ნახავთ, ზევით-ქვეით დასეარნობენ.

ბორჯომის პაერმა ძალზე კარგად იმოქმედა ჩემზე და წითლად სასადილოში შევიდო.

— ჰო, სარიშვილი ვარ; ვიღაც გვიწოდეს... არ ისმის კარგად... უგრემიდემ? სატყუოს გავმე, რა, რა მზარული ვარ... — ასეთ საუ-

ბარს წაეაწყუდი წითელ სასადილოს ტელეფონთან.

— ბაღში სუფრა გავიშალო? შთელი სატყუო ხართ დაპატივებული ქორწილში? კარგი, ძვირფასო უგრემიდემ, მე მართალია მოწყენილი ვარ, გუშინ გამწმენდ კომისიამ პირველი კატეგორია ამკარა შუბლზე, არასაიდან გაიგეს რომ მე ის სარიშვილი ვარ, რომელმაც ბათომი მოგატყავე ჩემი სასადილოებით. შენ ძალზე თავდაპირილი კაცი ყოფილხარ, რომ წმენდაზე თავი დაიჭირე და ჩემი ამბები არ გამოამსკარავე თორემ... ხო, ისეთი მაგიდა გავიშალო, რომ შემწვიარი გოკი მისით მიზობდეს თქვენს მშენიერ და მოსაწონ პირ ში ჩემო უგრემიდემ, ესლავე მანდ გავჩნდები — დაათვა სარისვილმა და ცქაყოფილმა არსენა ოძელაშვილივით ჩაიცინა უღვაშებში.

„მოვსპოთ სასადილოში ლოთობა“ — ასეთი წარწერა ამშვენებს სასადილოს, სიტყვა „მოვსპოთ“ მართლაც რომ ზეგამოჭრილია ამ სასადილოსათვის, რადგან იქ მშენიერული მუშა გაუტყავებელი ვერ გამოდის გარეთ, რადგან დასები ერთი-ორად გახრდილია.

იმ დღეს სატყუოსი აღარ შემივლია, რადგან ხალხი ქორწილში იქნებოდა და საჭმელს სულერთია ვეღარ გაეკეთებდი. მეორე დღეს შევიარეთ სატყუოში.

— თქვენ სატყუოსს გამეგ ნებნათ?

— სულ ერთია, ოღონდ პასუხისმგებელი კი იყოს.

— უკაცრავად, მაგრამ ასეთები ორი დღეა სატყუოში არ არიან.

— რატომ?
— ჰმ, მაგი რომ ვთქვათ, მაშინ „შვიდობით სატყუო“, ჩვენც აღარ ვიქნებით ამ სატყუოში და მერე ხომ სულ დატარილვდება? — მიპასუხა ერთ-ერთმა. რას იხამ, „პახმელიის“ მფლობარობაში ვინ არ ყოფილა.

გარეთ გლენების რიგი იდგა, მაგის ლოვინში. ერთი გლენი ქალაღს აა-მაშებდა ხელში, ზედ ეწერა:

ბორჯომის სატყუო შეჯიბრებაში იწვევენ ახალ დაბის ხატყე-ს. პირობები:

- 1. რომელი უფრო მეტ გრძელ რიგს გააინებს საქმეზე მოსულ გლენებისას,
- 2. ვინ უფრო გაათარებს დროს ქორწილში.
- 3. ვინ უფრო მეტ სამუშაო დღეს გააცდენს და სხვ.

— მოისმინეს, დაადგინეს, კრება დარჩა მზიარული — ასეთი ლაპარაკით იქცეოდნ თავს კრებიდან ახლად გამოსულები და „ზაკტპო“-ს წინ იდგენ.

— „ზაკტპოს“ გამეგ ანდლულაქ ამ ბოლო დროს ძალზე დაეჩვია ქალების არსიყობას კოპერატრეში. ნეტავ ქალი ვიყო, მაშინ სანოვავე აღარ მომაკლდებოდა, აბაური ქალები ძალზე პატრეისცემაში არიან ანდლულაღის წყალობით. — საყვედურობდენ.

იხანიკა.

ბოროტმოქმედების აღილვა

მარტის ცივი ღამეა. სძინავს დაბა ხარაგოულს. ხოლო „ეპოს“ მეხუთე სავაქროში გამგე ოლია და მისი ნოქარი გალინა „დიდი ამბებში“ არიან, მუყაითობით მოსდით, რომ ასე დიდხანს რჩებან სავაქროში. დღით ვერ ასწრებენ მუშაობას და...

და საქონლის გადაშალვას... ფასების მომატებას.. მომატებულ ფასებიდან აღებულ ფულის განაწილებას და... და რაც მთავარია... და მთავარი ის არის, რომ... რომ...

ღამეა. შუალამეზე გადასულია. სძინავს დაბა ხარაგოულს. გრ. ბუაჩიძემ გაიარა „ეპოს“ მეხუთე მალაზიის წინ. შიგნიდან სიცილ-სიმღერა მოესმა.

შეჩერდა. (დარაბებიდან სინათლე მოსჩანდა), მიაყურა. შეიჭვრიტინა და შემდეგი სანახაობა გადაეშალა:

დახლზედა იწვევს მთვრალეები... კოცნა... ლაღობა წყლიანი. ვაჟები ჰყავდათ ორთავეს, ტენიკნი, ტანაკვეთიანი. გრ. ბუაჩიძეს თმები ყალყზე დაუდგა. ხედავდა — როგორ ნიაველებოდა „ეპოს“ ქონება.

მან გაკვირვებით უკვირბა მათსა ლაღობა-წოლასა...

„გათენებაშივე განანებ მაგა ვაჟების ყოლასა! სთქვა და მილიციისაკენ გაიქცა. ცოტა ხნის შემდეგ მილიციამ კარზე დააკაკუნა.

კარები ჩაიკეტეს. არ გააღეს. მილიციამ შეამტვრია.

— ეს უსინდისობაა, ქალები ტანზე გახლიჩები ვართ და თქვენ შექოდიხართ! — პროტესტი განაცხადა ოლიამ და გაიქცა.

გალინა იქვე დაბატმირეს. ოლიაც შეიპყრეს.

„პოლიტიკოსი...“

სპეც-ნეღვინეთ ითვლება ნოე და ის მსახურობს ერთ-ერთ დაწესებულებაში.

— ჩემდენი ღვინო მგონი არც ერთ კაცს არ ექნება დაღუული. აკაკა ვარ, მა რა ჯანაბა ვარ! — ხშირად

იფიქრებს ნოე, როცა წმენდაზე ლაპარაკი ჩამოვარდება.

დაწესებულებაში, სადაც ნოე მსახურობს, მესხავეთ გაეარდა ხმა, რომ ხვალეიდან წმენდა უყვე დაიწყებაო.

ბევრ თანამშრომელს ჰქონებოდა ტანში ჩუმი ციებ-ცხელება, რომელიც ამ ამბის გაგონებისთანავე გამოაჩნდა.

— მაშ ასე. ხვალ მე წმენდაზე გამოიძახებენ! — ბოლოს სცემდა ნოე ოთხაში და ფიქრობდა. — აი, ესლუ მჭირია, ჩემო ენა, შენი მოქნილობა, ელასტიურობა, მჭერმეტყველობა და სიტუბო. დღეს სხვა დროა, თორემ მე ისეთი დიდი პოლიტიკოსი ვარ, რომ მინისტრი უნდა ვიყო, გარეშე საქმეთა მინისტრი... ჩემს სპეცობაში ექვს ვერ შეიტანებენ... ნოე ვარ, ნოე... ნოე ხომ პირველი სპეც-მეღვინე იყო... ეს მე კარგად ვიცი ბიბლიადან. უნდა გავიგო ვინ არის გამწმენი კომისიის თავმჯდომარე! — სთქვა მან და მაშინვე გაიქცა გასაგებათ. რატემ მიიღო პალმა.

გაუტვირდა.

— არა... ალბად შეგცდათ.. სხვი-სია... მე არა! — დაბნეულად უთხრა მომტანს.

— გარწმუნებთ თქვენია! ჰა წარაწერაც!

მართლაც სწერია „ამხ. ქავთარაძეს... ნოე“.

— უკანვე მიუტანეთ! — ცივად უთხრა და..

რაშია საქმე? ნუ თუ არ გასტრა ჩემმა პოლიტიკამ! — დაღონდა ნოე და ხელში შერჩა უარყოფილი პალმა. ხი—ლი.



რუბენ, რუბენ, შენსა მზესა!..

— რუბენ, გვითხარ, შენსა მზესა, შენი საქმე როგორ იყო, მუშაობით რომ გვერდს გიწვლდენ ხუთი კაცი მოგმდგარიყო! — მართალია, არ დავფიცავ, არც მაქვს შიში არავისა, რადგან მფარავს მწყალობელი ვიფარებ მე შენ კარტში; იანვარში, რომ დამზილეს, მოვიჩინე წელი მარტში. — რუბენ, რუბენ შენსა მზესა, არ დავიცო, გვითხარ ესა: მელხანშროში შენ ავტოთი სეირნობდი რამდენ დღეს? ცოლი გვერდში მოგეჯინა, იყავთ პრინცი და პრინცესა. და როდესც, როგორც ელვა, მოხვეულში შეიჭროლეთ, — დაეტაკეთ მეეტლესა, შიგ მჯღღონი ქვეშ მოიყოლიეთ. ერთი, მგონი, კიდევ მოკვდა და მეორე დასახირდა. ამის შემდეგ მელხანშრომის მითვება შენ დაგჭირდა! — მართალია, არ უარყვო, არც მაქვს შიში არავისა,

რადგან მფარავს მწყალობელი კალთა ჩემი არამისა. — რუბენ, რუბენ, შენსა მზესა, ნუ დაუფიცავ გვითხარ ესა: მელხანშრომისა როს მოშორდი სად ამოჰყავ შემდეგ თავი? — მინახულა მე არამისა რომ გაეგო ეს ამბავი, მანუგეზა, გამაზნევა, სულიერად არ დავცივი. ტუბდისპანსერს რკინის გზისას მოვევლინე როგორც სპეცი. — რუბენ, რუბენ, შენსა მზესა, არ იტრუო, გვითხარ ესა: ამბობენ, რომ თოთხმეტ კაცსა გაუფუქე, თურმე ხელი. — ნამდვილს ამბობს მაგის მოქმელი არც მაქვს შიში სხვა რამისა, რადგან მფარავს მწყალობელი კალთა ჩემი არამისა. — რუბენ, რუბენ, შენსა მზესა, ახლაც გვეტუცი სიმართლესა: როგორ იყო, რომ სტუმრებით კიბებზე დაგიშვესა და ქუჩაში დარჩინილი იწყველიდი ბედს და სენსა?

— მართალია, არ დავფიცავ, არც მაქვს შიში სხვა რამისა, სანამ მფარავს მწყალობელი კალთა ჩემი არამისა. — რუბენ, რუბენ, შენსა მზესა როგორა გრძნობ შენ თავს დღეს? — თქვენც ხომ იცით, ჩემო კარგნო, ბროლის ციებ მადლია; ჩემი არამ მლაღვი არის, ჩემთან ხშირად მავალია. პურით, ღვინით სულრა მზად მაქვს, ბლომად ჰყრია სათალია. ათასჯერც რომ მცდარი ვიყო გამოვდგები მართალია. — რუბენ, რუბენ, შენსა მზესა... — ნუ მაყვინებთ, თქვენსა დღესა, ლიბნსა ვარ გამწადილი, იქ მაგზავნის ჩემი „შედი“. უნდა ბლომად წავიმგზავრო კახური და „იმერ-ჩქეფი“. რუბენს და არამს ორივეს აუკრათ მარგი უმბოთა და მათ ადგილზე რკინის გზის მუშებსა გამოუხმეთთა.

კ. ლმ.

მარხპოში ჩიტირკამია — დასაფერხი — და-სარკამია

ღამკვირალ - ღამკვირალე ბრიგადა.



ტფ. აბრეშუმის საჭოვ ახალ ქარხნის ფაბრიკის თანამდებარე გურგენიძე არა-ვიტარ საკეშირო მუშაობას არ აწყობო-ბდა. „მონტე-ქარხის“ თოთიო ჩიტბანს დას-დევდა და გესურსებზე წახელის დროს ლოთობდა. ქარხანაში აღმოჩნდა ვალან-გვა, გურგენიძე მიიპლა.

მუშე. ციციანაულას წერილიდან. ალბად ყველასათვის ცნო-ბილია, რომ ტფელისში მოწყო-ბილია ახალი აბრეშუმის ქარხა-ნა, რომელიც მუშაობს ამხანად და აერთიანებს რამოდენიმე ას მუშის. ქარხნის საქმიანობას სა-ერთოდ არა უშავს, მაგრამ ყვე-ლაზე აღსანიშნავი მაინც მისი ფაბრიკაა, რომელსაც არეული აქვს ნახტომია და საკეშირო მუშაობის წილად ჩიტებს დას-დევს, ხან კენტად, ხან წყვილად.

ეს ყმაწვილი გურგენიძეა გვარად, მას მუშების მოთხოვ-ნილება არ უღირს ვარად, — სამაგიეროდ ქეიფობს მა-რად და ყლას უშვებდა ღვინო რომ ნახოს ნაღენი ღვ-რად. კულტმუშაობა, დამკვირვლობა და სხვა ამისთანები ჩამოწერილი აქვს, როგორც დამკვირვლი ამოცანები და სძინავს ამ ღამაზე სიტყვების სიაზე, ხოლო როცა წავა სადმე ექსკურსიაზე, დადგება თამბაქო, მოჰყვება რე-ჩებს და უაზრო ტიკტიკს და როცა გამოსცლის მილად ტექს — გამობრუნებული ჩიტირკამიათ გაგარდება ბალახ-ში. ვიდრე არ ამოიგანგლება და არ ჩაივლება ბინძორ ტალახში. ასეთი იყო გურგენიძის საქარხოში მოღვაწე-ობა და ამის მიზეზებს რაღათ უნდა მეოთა, თუ ქარხა-მის თანხები სად გაიდღანგა უწყევლოდ, ან თვით ფა-ბრიკაში სად ჩაიყლაბა უგემოდ?

რატომ ბარბაცებს კოსტა ზარ იძამე

„სტალინის მე-2-რე რაიონულ პარტიკონ-ფერენციზე ვალეშვილი გამოცხადდა დე-ლეგატი კოსტა შარიქაძე, რომელიც ვაძა-ფხობლი იქნა ტრამუნდანი. 15 მაისს, ამავე შარიქაძემ შეუწყარებელი ხელიგნობა ჩა-იღინა პარტიკონის ფაბრიკაში.“

ბევრს გონია, კოსტა შარიქაძე იმიტომ ბარბაკობს, რომ მან ჩაის ქიქებით „ჩაახსა“ (ე. ი. ღვინო დალა. მისი თქმით). ეს რომ ასე იყოს, მაშინ ყოველი ქური, ან კას-რი ქანაბას დაიწყებდა, როცა მასში ღვინოს ჩაახსამებენ.

ბერი იმასაც ფიქრობს, რომ სტალინისის რაიპარტ-კონფერენციაზე შარიქაძემ ღვინოს სმაზე დაიწყო ლაბა-რაქი და იმიტომ გამოაძვეესო, — არც ეს არის მართალი,



— პირიქით იმიტომ „გამოდევ-ნეს“, რომ ღვინოს სმაზე კი არა, საერთოდ სიმთვრალისაგან ენას ველარ აბრუნებდა პირში.

ზოგს კიდევ გონია, რომ 15 მაისს მარტ. № 191—192-ის ვა-გონში შარიქაძე იმიტომ გორავ-და მის მიერ დასველებულ იატა-კზე, რომ ვალეშვილი იყო და ფეხზე ვერა ღვებოდა.

რა ბრძანება!.. შარიქაძის ბარბაცე და გორავა გამოწვეუ-ლია კომპრონიჟისა და ნიუტონის სისტემის წყალობით. ტრიპლებს მიწა, ბარბაცებს, იზნდაეს მიწა - კაცი ვეუ-მა! რა შეუწია აქ ღვინო?

„2 მაისს, სად. გურჯაანში ჩხუბი ასტება კოსტა გეტაშვილის დამკვირვლობა ბრიგადამ, იმის გამო, რომ ბრიგადის წევრები ვაძა-ლიდეს სამსახურის შესახებ ღვებოდა.“

მუშე. პალის წერილიდან.

სადგურ გურჯაანს ეწვია დამკვირვლ მუშების ბრიგადა მას კაცი ვერას, შებედაეს იქცევა ისერიგადა. თუ გეტაშვილი დათვრება (ბრიგადის ხელმძღვანელი) ან თუ წამოწევა ბრიგადა, მის ვალეშვიება ძნელია, გული მოუეა გეტაშვილის და იმის ბრიგადირებსა არტყამენ მჯილებს მაგიდას და ასე დაუყვირებსა:



— დამკვირვლები ვართ, ჩავიმტკრეით ემაგ ცხვირსა და პირებსა... მოდი და ტარტაროზულად მართლაც ნუ შეგეტკობდება — ვინც დამრტყმელობად გაიგო — დამკვირვლის სახელწოდება. კამკამში ხარზავან თაგვებს

„ქიათურის მალაოობთან არსებულ მუ-შათა სასაღილოებში ქუჭყი და სიბინძუ-რეა...—ჯარკელის მალაოოს სასაღილოში მუშაბ კერძში აღმოჩინა მოხარული თაგ-ვი.“




მუშე. ელდას წერილიდან. რა არის ამაში სასაცილო, რომ ქიათურის წითელი სასაღილო ვერ ემსახურება მუშებს ნამდვი-ლად და ზოგჯერ ისეთ რამესაც უშხადებს საღილად, როგორი-ცაა თაგვი და ხოკი. აქ კაცმა მთლიანად უნდა მობოკო მოკა-ლათებული ბიუროკრატები და დაიხეკო როგორც შატუმი, ხო-ლო სასაღილოს მიუჩინო ნამდვილი ხელმძღვანელი, გინდ პერევისელი, გინდაც რგანელი, რომელსაც საქმისათვის შესტკევა გული და არ იქნება ისე თავგადაღებული, რომ მუშებში აღაშფოთოს თავისი დაუდევრობით და ფონს ვერ გავიდეს მოქნილი ენამკვირვობით.

კამკამში ხარზავან თაგვებს

„დადუმის მულის ფაბრიკაში ზეინკალ-მანტოზად მუშაობს ჩალალოვი—თავის ცოლთან ერთად. ჩალალოვი მიუღ დღეს ცოლთან მუსაიდში ატარებს და შრომა ნაყოფიერებაზე კი არ ფიქრობს!“

მუშე. ნეგრის წერილიდან. დადუმის მულის ფაბრიკაში, რომელიც ტფელისშია და არა აფრიკაში — თურმე დედალ-მამალი გვირტი მოფერენილა და, საამქროში, რომელიც დახვედით მოფენილა, მიუღ დღეს ისმის მათი განუწყვეტელი ლულუნ-დაჩრდილულია მათგან მანქანე-ბის გუგუნის და რა ჩალალოვი მის ცოლს ეფერება, ამით სტორის შრომის ნაყოფიერება და ფაბრიკას თვითღირე-ბულეება ეზრდება, მიტომ, რომ მამალ გვირტს მუსხაფი არა შეზრდება და აცდენს სამუშაო საათებს; თუ ის კი-დედ ასე იმასლაათებს და არ დაივიწყებს სიმულანტო-ბას — ასეთი წამალი მოუხდება მაშინ, მის ხანტობას: ფაბრიკა ხომ არ არის გვირტების გოლა? ერთი პანლუ-რი უქიროთ ძალიან



ქარკვება.

„მონადირე“

ბოგჯოგი



— ვარაუბ, რას მერჩი რა დამიშავებია შენთვის?
 მარ. შპრიტაძე: — შენ არაფერს არ გერჩი მე
 მუშეკორს დავეძებ!

„ხელსეკავი“

სურამი

ამ ჩვენს ეპოს მოველინა
 თავმჯდომარეთ ერთი ვახო
 საქმეს ღვინო ურეგნა,
 (ვერც თვით იტყვის ამის ვარსო).
 სხვა რა გითხრა მე ვახოზე,
 ტოლუმბაშათ კარგი არის.
 „ეპო“-სათვის მხოლოდ იგი
 სულ ზედმეტი ბარგი არის.

რომ ჩაჯდება ძმა-ბიჭებში,
 იქეიფებს დღე და ღამე—

და ასეთ კაცს აბა ერთი
 საქმისათვის კითხე რამე!
 მაგრამ რა ვქნა, ცუდქმა მუწამ

მან: მე არ მომასვენა,—
 სანამ ვახო, ეს ამბავი
 ტარტაროზს არ მოახსენა.

ფედექი და მეც გაგურე—
 ვერ-ფერობით მართო შენა
 ასე იყო თორემ, ვახო,

მე არ მსურდა შენი წყენა.
 ვახო, შენსა ამხანაგებს
 ფურჩეც თავი შეიკავონ,—

არ დაგიწყონ ქომაგობა,
 ენა აღარ მოიქვონ.—

თორემ მათი საქმეებიც
 ტარტაროზს კვლავ მიერთმევა,
 და სახელი შესაფერი
 თითო მათაც დაერქმევა.

სურამელი საბანა

გზადღებ და 22 ივნისს გემოვნ
 „ტარტაროზი“-ს სპეციალური
 ნომერი ურფა-სსსრკრეგზე

პროვინციის განვსაჯებები 7

გამფლანგველთა საშურადღებოდ
 ქუთაისის ფოსტა - ტელეგრაფის ყოფილმა
 ბულალტერმა დავით რიონიშვილმა გახსნა

კურსები

სადაც ისწავლება: ორდერების გადასწორება,
 ციფრების გადაკეთება, ყალბი ორდერების შედ-
 გენა, საბუთების მოპარვა და სხვა.
 მისამართი: ქუთაისის გამსახლი.

(თარი).

ვასწავლი

მსურველებს: ღვინის სმას, თრობას, გინე-
 ბას (მრავალ ენაზე), შევანშეობას, ზარმაცობას,
 ფულის შოვნას სხვადასხვა საშუალებებით და სხვა.
 იკითხეთ ხვეის აღმასკომში (ოზურგ. მაზრა)
 მდივანი უშანგი მამალაძე.

(კოხი).

ბირჟის გარეშე სამსახურში ვაწვობ არა-
 კავშირის წევრებს ყოველივე ბირჟის გარეშე და
 გარეშე ორგანიზაციების რეკომენდაციისა. ულ-
 მაზო ქალები ნუ შეწუხდებიან.

ბათუმის მეღვინეობის კავშირის თავმჯდო-
 მარე: შუავენაძე.
 („იოლღაშ“).

მოკვრებებსა და ნაცნობ - მემოზრებს უმ-
 რის კოოპერატივოს საქონლის განაწილების შე-
 შესასწავლი

კურსები

გახსნილია სოფ. ზედა - საზანოში ოღვილობ-
 რიც კოოპერატივში, ყველა კოოპერატივების ნო-
 ქრები ვალდებული არიან გაიარონ ეს კურსი. ის-
 წავლება: ფახების მომატება (თავისი ჯიბის სახარ-
 გებლოთ), საქონლის გადამალვა, თეთრეულობისა
 და შაქრის განაწილება მოყვრებსა და ძმა-ბიჭებში
 დაწვრილებით იკითხეთ ზედა - საზოს კოოპერატი-
 ვის ნოქართან, დომენტი თურქაძესთან.

მუშაკოოპი

(ვიათურა)

მეცქერი „კუკლებს“ ნახ თვალეზიანს,
 ვიტრინებში რომ მშვიდით არიან.
 ასე მგონია: ბავში ვარ ჩვილი,
 ვბტი ციბრუტივით და მიხარია.
 ერთი ვაგონი „კუკლა“ გასალდა.
 იქნებ გონიათ თქვენ ეს აღვილი?
 რამდენი ვნახეთ ვითრებებისაგან
 თავ-ვატეხილი, გადმოვარდნილი.
 ჰო—და, თუ ყველი ცუდი გამოდგა,
 ნაცვლად „კუკლები“ ნომ კი კარგია.
 ხომ შევისრულეთ სხვა საქონელში
 დეფიციტი და დანაკარგია!

შაქო.

მეგობრული შარში

სახკომსაბჭომ 70.000 მანეთი მისცა მიწსახკომთან არსებულ კალიასთან ბრძოლის კომისიას, რომლის თავმჯდომარეა აშხ. სიმონ ჯ. ლელი.



სიმონ უმეზა კალიას,
მიწას გაუმონდა ზრიალი,

მარჯვენა მხარი მოსბება,
დააწუხებინა ღრიალი,



J. Nadar
30

50 პანეთი ამ სურათზე უკეთესი წარწერებისათვის. კონკურსი
 1-ლი ჯილდო—25, 2-ად—15 მ- 10 მან.

ახალგაზრდა მხატვრები

პლ. ზიკინძაძე, ტფილისი.

მ. საკინი, ქ. ხილნაღი



— რა მიმივა ეს ოხერი!

— წუ გუშინია, წიხქვილიდან შენც ჩემსავით მსუბუქად წამოხვედი!

— კაცო, გუშინ ეს ჩვენი ნიკო რა სუფთად დაიარჯა!


— დღეს კი, შეხედე, როგორ დასვრილია!

— აღზად წუსხელის აბანოში იყო!

პ. ზიკინძაძე, სურამი

მ. ნადიაშვილი, სამტრედია.

მის. ლომიძე ტფილისი.



— სად მიდიხარ იატაკის საწმენდ იარაღებით?

— კოლპერატის სამკითხველოში, წიგნები უნდა გამოვიტანო და, თუ გამგუს იატაკი არ მოუწმინდე, წიგნს არ მომცემს.

— ამ ჩვენს ათწლეულში ძალიან ზრდილობიანი მოწაფეებია!

— როგორ!

— როგორ და, პაპიროსს გაკვეთილებზე აღარ ეწევიან... მხოლოდ დასვენების დროს ეწევიან!

— კაცო, ლექციებზე რატომ არ დადიხარ?

— რად მინდა სწავლა, სტიპენდია ქე დამინიშნეს და ფულებს ქე ვლიბულომ!

ხ ა უ უ რ ი

გზას ვაგე ხარაზივზე
სიტყვას ვიტყვი ნამდვილ მართალს:
მუშას უკან ვაისტუმრებ,
მხოლოდ ნაცნობს აძლივს ფართალს,
წინეთ იყო ეს სურამში,
საქმე ვერც იქ მოაგვარა;
აზარალა გამგეობას,
თანხა ცოტა არ აკმარა.

გადავხედოთ „ზაქტოს“ ბუფეტს,
მუდმივ ნახევრად „ბურ-ხაურს“,
კერძით აბაზს თუ ვაღიხიდი,
აქ კი ნაღდათ — ცამეტ შაურს.

ახალ გამგის საქციელი
მუნ გაგვიხდა მისათითი;
ტრაბახობა არას არგებს,
გახდეს ცოტათ მუყაითი.

„გონზანქშიაც“ შევიარე,
თანამშრომელი ვნახე „ჩისტკა“,
„უმიზეზოთ“ ბრალსა სდებდა
გამგეს ნისვე „მაშინისტკა“;
თვით ეს ქალი, მემანქანე,
საქმეს კარად ვერ ასრულებს,
არმყოფა ვარგი იცის,
„საქმით“ კაცს გულს დაუწყულულებს.

სკანდიტროს მოვიგონებ,
სოლო ახალი განხილია;
„შიგ მსახურთა საქციელი
ნამდვილ აღვირ-ახსნილია
ჯერ მოლარეს ავიწერათ
„ბოჟაძეა“ მგონი გვარად,
ხურდას მისგან ვერ მიიღებ,
ყველას აკლებს ერთაგვარად.

ფოსტა ვნახე, ჩვენი ფოსტა,
რომ მიმართა ახალ ბინას;
ძველი ბინა დასტოვა და
დღე და ღამე მიტომ სძინავს!

ნეკტარი,

ს. პ. ს. - ბათუმის ნიჟარის ლაზარული მასხალეები



გამარჯობა ვარლამ!
შენ ეხლა გაგეშული გექნება, რომ მე და ვახუშტი უკვე პარიზში ვართ.

ვახსოვს — როცა სამივე დავედებოდით ბათუმის ბულვარში და გავსქეროდით ზღვის სივრცეს?
ჩვენ ვოცნებობდით საზღვარ-გარედ გაპარვაზე.

— ბიჭო, საზღვარი აქეთა; ჩვენი სივრცე იქნება, რომ არ გავიპაროთ! — ვლაპარაკობდით ჩვენ.

რალა ბეგრი გავაგრიდეთ, მე და ვახუშტი ეხლა პარიზში ვართ. (შენ რომ ტფილისში არ წახულიყავი იმ დღეებში, ალბად შენც ჩვენთან წამოხვიდოდო).

ბეგრი გაქირვება გამოვიარეთ გზაში, მაგრამ ჩვენს მიზანს — პარიზს მაინც მივალწვიეთ.

ჩვენი ყოფილი მთავრობის დახმარება გვექონდა, მარა საწყლები თვითონ საჭიროებენ დახმარებას.

უნივერსიტეტში ვერ მოვეწყვეთ, მარა არა უშავს.

ბიჭო, ვარლამ, პარიზი მართლაც ისეთი მშვენიერი ყოფილა, როგორცაღა წარმოდგენილი გექონდა. აქ ცხოვრება მართლაც ბედნიერებაა. ისეთი სასახლეები და სახლებია, რომ მანდ სიზმარშიაც არ მოგეჩვენებოდა. კაცის თვალს უკეთესად მორთული ბინებს ვერ ნახავს. თვითულ ბურჟუას მთელი სართული უკავია ბინებს. (ცხოვრობს ღმერთით. აი, ასეთია პარიზში ბინები. (თუმცაღა მე და ვახუშტი ამდენი ხანია უბინოთ ვართ და დამეს სადმესადმე ვათივთ სანაგვე ყუთში, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, სახლების შესასვლელში, თუ შეკარემ არ შეგვწაშნა და გარედ არ გამოგვადლო).

პარიზის თეატრების და კინოების უკეთესი თეატრი და კინო, მე მგონია არსად არ იქნება. ყოველ საღამომოში მილიონი ხალხი დიდის შიგ, თუმცაღა მე და ვახუშტი უფულობის გამო, ერთხელაც არ გყოფილვართ კინოში...

რა გინდა, სულო და გული, აქ რომ არ იშოვებოდეს! პარიზი ხომ იცი — მოღების ქალაქია. მართლაც ასეთ სა-

უცხოვო და მშვენიერ საცემელს ვერსად შეხვდებიან... მართალია: ჩვენ მანდღან წამოღებულ დახეულ მარეაღსა და ხალაოში დაედივართ, მაგრამ აქ ყველას მშვენიერად აცევათ.

შენ უნდა ნახო — ქუჩებში როგორი მოძრაობაა! ამდენი ტრაპეაი, რკ. გზა, ავტომობილები, ცტლები მგონი ზოგერთ სახელმწიფოებშიაც არ იქნება. მათში ჯდომას რა სჯობია, თუმცაღა ჩვენ უფულობის გამო შიგ ვერ ვვლდებით და ქვევითი სიარულისაგან ფეხის ფულზე ტყავო ვადგვცვრთ.

საქმელ — სასმელი ხომ პარიზის მოგონილია. ყოველდღიურად უამრავი ტკბილეულობა და შამპანიური სოღდება. ნეტა განახვა, როგორ მდიდრულად სადილობენ აქაური ბურჟუები! მე და ვახუშტი ავტოტუზებით კაფეს კარებს და ვუცქერით მათ მდიან ქაშას. პირში ნერწყვი მოგვდის, მარა სადა გვაქვს განვრტეილი გროში, რომ ურთო პონჩიკი ჩვენც ვიყილოთ და მათ ჯინაზე ჩვენც ჩავიტყბანურთოთ. პირი.

აი, ასეთი კარგია, ჩემო ვარლამ, პარიზი. ვიცი შენც გინდა აქედ წამოსვლა ბათომიდან. კარგი საქმეა.

ვარლამ, თუ წამოხვიდე, ჩვენებს ვაგებინე და წამოგვლე: ორი ფუთი მკადის ფქვილი (დამამუღლი ვართ, ძმაო!), ოთხი კილო ლობიო, ჩვენი ძმების გამოხანცელი საცვლები (ეხლა ქვეშ არაფერი გვაცვია) და, რაც მოთვაგარია, საგზაო ფული, რომ აქედან მსლე დაგებრუნდეთ უკან ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში.

ახა შენ იცი თუ შესარულდ ჩვენს თხოვნას. (ქირში უნდა ამზახავს შეგლა. ჩვენ ამაზე უარესი ქირი აღარ დაგვემართება!).

ველოდებით პარიზში. აუცილებლად წამოდი... აქ პირდაპირ საზოთხეა.

მალე წამოდი, წამოსვლა გვინდა.

ისეაღი.

შ ე შ ი ნ ე გ უ ლ ნ ი (ამგავში ხღვაბა ჟ. ბათოღში)

ნარიმანი: — დაუჩქარე, ნინა, შენი ქირიღე დაუჩქარე!
რკ. გზ. მუშა: — რა ქნით, ვახუშტი სტოლი? უკვე წამოვიღენ და მალე მოვლენ.

ნინა: — მოვლენ თუ არა და, რუსეთიდან არიან ჩამოსულნი (შემოდის რკინის გზელი მღშა).

ნარიმანი: — რამდენი არიან?
რკ. გზ. მუშა: — სამი...
ნინა: — ვინ არიან?
რკ. გზ. მუშა: — საღვურის უფროსი, რევიზორი კიკნაძე და კონდუქტორი ანდრეუღაძე, აი ავერ მოდიან უკვე.

უფროსი: — ჩვენ მთვრალბა ვართ და იმედია არ დაგვცრახავთ.

ნარიმანი: — რავა გვკადრებთ, ჩემო კარბოზ... (სადგ. უფროსი და რევიზორი მღერიან) შემეწია ღმერთი, რომ მთვრალბნი არიან, თორემ სამი ფუთი ღვინო არ ეყუფოღათ.

რკ. გზ. მუშა: — (ნარიმანს ჩუმათ) გააწყვე სტოლი ბარემ და მათ მალე მოუგრენ კისერს, სღვრას მალე გააწყობენ, შემოღუსმდებიან. დიდხან სეამენ).

ნინა: — (შემოვარღება) ნარიმანი, კოწია მოვიდა და გზმობილობს.

ნარიმანი: — ვინ კოწია?
სადგ. უფროსი: — კოწია ბიბიღეიშვილი ხომ არ არის?
ნარიმანი: — დიან ისაა.

უვეღანი: — (მოწყენით), ქე არ

ჩავიღწარა მგ. ოღვბ დაქციულმა ეს ტკბელი კამპანია!

სადგ. უფროსი: — ვაგვაპარე აქედან, ნარიმანი ისე, რომ თველი არ მოგვეკრას, თორემ დავიღუპებით. (მთხარებთან).

ნარიმანი: — (გაბრაზებით) მომქერი, ქაღო, თავი? შემარცხვინე ასეთ ამზანაგებში?

ნინა: — მა რა უნდა მექნა ვაკო, ტიკში სამი ბოთლის მეტო ღვინო არ იყო!

ნარიმანი: (გაღაღებვეღ) შენ ვენაცეღოს ჩემი თავი, ქე არ გამომიყვანე კაცი სირცხვიღიდან! ჰკოცნის):

პინიღაძე.

მართი ღლით ბათოშვი

ტრადიციულად დავარჯი ამ წყაროს „ბათოშვი გახვირნება“, თორემ გვეიცვებით ჩემს მეხუთე წყება ცოლ-შვილის სიცოცხლეს, რომ სერიოზობის გუნებაზე სულაც არ ცყოფილვარ, როცა ბათოშვი ჩავედი.

ჩემი ბრალია: გულჩვილი კაცი ვარ: მეცოდება დახარებული აღამიანი.

ბათოშვის საბარგო სადღურზე გავლამ კი, მე კი არა, ყველა მგზავრებს გული აუყუჩა და ზოგ მათგანს თვალშიც აუტოვებდა:

ამ სადღურზე არ გაჩერდა ტფილისიდან მომავალი ჩვენი მატარებელი: ჩამოსახტომათ გამზადებული მგზავრები კი ბევრი იყვენ: უმეტეს ხაწილად ქუშები. ბევრმა მათგანმა „ივა-ჟაკაცა“ და გაქანებულ მატარებლიდან გადახტა.

ჩვენი თვალისწინ პანტასავით სცვიოდენ როზოდებთან: კალათები, ტომრები, ხურჯინები, ღვინით სავსე ტიკები, თვითონ მგზავრები, და ამ მგზავრებთან ერთად სცვიოდენ მათი მოტუხილი ცხვირები, ხელები, ფეხები, კბილები და გატეხილი თავის ქალები.

ამ კატასტროფის შემდეგ რაღა სერიოზობის „ხოში“ შემოჩებოდა?

— პატარა პურ-წყალი „წავაიმას-ქნათ“. ნამგზავრი ხარ, მოგვიხდება! — მითხრა — სადღურზე შეხვედროლმა ტარკორმა.

მოკლე ხანში სასადილოში გავჩერდით.

— რა საჭმელი გეჭეთ, ამხანაგო? — შევეკითხე მომტანს.

— ყველაფერი გვაქვს, რას ინებოვ?

— ხარჩო მოგვიტანეთ!

— ხარჩო არ არის!.. სხვა ყველაფერი გვაქვს.

— სოუსი!

— არც სოუსია!..

— ბევრტეჭსი!

— არც ბევრტეჭსი!.. დანარჩენი ყველაფერი გვაქვს.

— კატლეტი მოიტანეთ!

— ა? წუთში! — და სამზარეულო-საკენ გაბრუნდა, მაგრამ შუა გზიდან ისევ შემობრუნდა და დარცხვენით გვითხრა:

— გამოლულა... აღარ არის!..

— საშველო საზოგადოების სასადილოში წავიდეთ! იქ ყველაფერი იშოვება — მირჩია ტარკორმა.

გავსწიეთ.

როდესაც საშველო საზოგადოების სასადილოში მივუახლოვდით, რაღაც ზუსტად „შემომესმა“.

— აღბად გემი მიდის ნავთ სადღურ-რიდან, იქნებ ახალი სამგზავრო გე-მია — „საქართველო“, ნეტავი მენახა! — ეუთხარი თანამგზავრს.

(ბათოშვი „გასმირნება“).

— გემი კი არა, ბუზები ბუზიან, აღბად მუქითი პურმალილით გამძლარან და ბალეტის ხოშზე არიან, აქაურ ბუზებსაც აქვთ თავიანთი ესეთეთიკა, საკუთარი რეპერტუარი; აქვთ საკუთარი კლასიური ორგანიზაცია და პროგრამა — მინიმუმი: მომხმარებლის პოზიციების დაპყრობა და სუფრაზე ბუზების დიქტატურის დამყარება.


ამ ლაპარაკში საშ. სახ. სასადლოს კარებს მივადექით, სადაც ნათლად დავინახე ბუზების და მომხმარებლების გაცხარებული ბაძოლის სურათი.

—:—

— მოსულან, მოსულან! — შემომესმა ვილაცას ხმა, როცა სასადილოდან გამოვედი.

— მოსულან! — კიდევ შემომესმა ხმა, როცა რამოდენიმე ნაბიჯი გავიარე. მივიხედ-მოვიხედ, მაგრამ ბავშების გარდა ვერავინ შევამჩნიე.

— ცირკი ჩამოსულა! ვერ ხედავთ ბიჭებო? კლოუნები! ჭრელი ხალათები ჩაუტყვამთ!



...პანტასავით სცვიოდენ მოტეხილი ცხვირები, ხელები, ფეხები, კბილები...

— კლოუნები.

— კლოუნები. ისევ შემოსმა აქეთიკიდან.

მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ ჭრელ ხალათიანი ვერავინ ჩვენ შევამჩნიე.

ცოტა ხნის შემდეგ მთელი ბავშების ჯგუფი აგვედევნა. „მოსულან! მოსულანს“ ძახილით.

— სად არიან კლოუნები? — დაიძახა ვილაცამ.

— აგერ, ვერ ხედავთ? ორია ერთათ: ჭრელ ხალათიანები. უბასუხა მეორემ და ხელები ჩვენ მოგვაშვირა.

რა ჭრელი ხალათი, რის ჭრელი ხალათი! გარკვევით ვიკოდი, რომ მეც და ჩემს ამხანაგსაც თეთრი ტილოს ხალათები გვიკვია, ისიც გაათოვე-ბულ — გაკრანხმალბებული, განსაკუთრებული მოწიწებით ჩავიტანე და ჩავიცკი ბათოშვი, რომ ამ ბუნების სილამაზით ცნობილი ქალაქში ჩაქაზმა-

ლებულ - ჩაკობტავებული გამოვსულიყავი.

— რიეიკ!

— რიეიკ კოსმაჩიი!

— რიეიკი, რიეიკი!

— ბრავო,

— ბის! — მოგვესმა ისევ ყვირილი.

ახლა კი მოთმინებიდან გამოვედი. ამხანაგისკენ მივიხედე და უნებურად შევხედე მის ხალათს. გარკვევით დავინახე, რომ მისი ზურგი და სახელოები დამხრჩვეალ მოლალურის ბუმბულივით იყო აჭრელბული.

დავიხედე ჩემი ხალათის სახელოებზე: ნაკლები დღე არც მე დამდგომოდა.

როგორც შემდეგში გამოირკვა ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოების სასადილოს კედლები ახალი შეღებილი ყოფილიყო, ჩვენ კი არავის გაუფრთხილებივართ და ამის შედეგი იყო ჩვენი „გაკლოუნება“.

იმ წუთშივე შეეტლეს დაუძახეთ და სასტუმროსაკენ გავიქეციით ტანისამოსის გამოსაცვლელათ.

მცირე მანძილი, რომ გავიარეთ მილიციელის სტენა მოგვესმა, ჩვენს წინ ცოტა მოშორებით ქუჩაზე ხალხის პროცესია მოდიოდა. ჩვენს მხალადად კი, მილიციონერს ხელი ჩაველო ვილაც მოქალაქისთვის, რომელიც საღაჯ გარბოდა.

— სად მირბიხარ? — ეკითხებოდა მას მილიციონერი.

— მიცვალბულის ბინაზე! — მოგვესმა მოქალაქის პასუხი.

— მიცვალბულის ბინა კუბოა, კუბოში ჩაწოლა გინდა?

— კუბოში კი არა, მისი ოთახი მინდა დავიკავო. მოკვდა, — მასსადა-მე, ოთახი დაიცლებოდა, — უბასუხა მან.

— ასეთი შემთხვევა ხშირია ბათოშვი, გვითხრა ჩვენმა რწმუნებულმა პ. ობოლმა. თუ ბინის შოვნა გინდა, ან მართლაც ცარიელ კუბოში უნდა ჩაწვე, ან მიცვალბულის ყოფილი ბინის კარები უნდა შეამტვირო; ისე კი — აღმასკომისაგან ბინას ვერ მოესწრები. თქვენ სად ჩამოხტიო ამხანაგო? შემიკეთხა პარმენი.

— სასტუმრო „იტილიაში“, „ნეკას გასტინიცას“ — რომ უქაჩანა ცარიული კუბო რომ განასხენლუხო და კი, მეც აღმე მეკუბოვესთან ჩამოხტებოდა. დანერწუნე, რომ „ნეკას“ სასტუმროს არც ფართობით, არც განათებით და არც დანარჩენი სანიტარულ — ჰიგიენური პირობების მხრივ არ ჩამოუვარდებოდა ვუბასუხე მე და გადავწყვიტე იმ დღესვე ტფილისში დაბრუნება.

მელუზა.

გურული: — ძამიავ, აჯერ გადავირევი კაცი, ამდონი მიდგომ-მოდგომაც აღარ მინახავს.

მეგრული: — მუსრაგადა სიკოჩი, რა დაგეშართა? რა ამბავი მოხთა ქომიწი სკანი გოლიაფირე!

აჭარული: — რამ გაგადელა ქოვ? რაზე ხარ დილხორი მითხარი?

გურული: — რა ამბავია და იგი რომ, ყოველთვის პროტექციას ჰქონდა ადგილი, მარა საბჭოთა რესპუბლიკაში ამას თუ გაბედადენ აღარ მეგონა.

მარა ფინთი და ოხერი ქვეყანაზე აღარ მერისპობა. ამდონი ხანია მინდა შარვალი შევიკერო, მარა აი ჩვენი ადგილკომი რომ არის ძამიავ, შარვალის ორდერებს ნაცნობებს და მეგობრებს აძლევს და მე აჯერ შარვალი მძებრება. (იკიდებს ხელს შარვალი).

მეგრული: — გიმიია, ისეა საქმე, მეც ასეთ მიჭირს სიკოჩი.

აჭარული: — ეიდა ქოვ, მეც ლშარვალო ვარ, ტოლრი უნდა გითხრა, აი ჩვენი ადგილკომი ჩემი ხელიდან მოსაღოთია. ამდონი ფართალი

მოდის და „ტალონს“ მის ნაცნობს აძლევს ყარდაშს. ასე ყოფილა ჩვენი ყრბმეთი, რა მოგვივიდა აი იზრეთი.

გურული: — წავიკითხე, ძამიავ, გაზეთში — მოსკოვიდან საქონელი მოდისო, გევიგე თუ არა, ვირბინე, და ვირბინე, გადაეხტი ფაიტონს, ხეს, დუქანს, და შლეჟა გაეაყრიე, ძამიავ, ადგილკომთან, მოვსთხოვე ტალონი. გათავდაო მითხრა, გვიხიხიე ერთს გამოუტანია საშარვალე, მეორეს, მესამეს და შენმა ოსიკელამ დაჯდეს და ჩეროს მატყლი.

მეგრული: — მეც ასე ვქენი, პატენი. როცა გევიგე ფართალის მოსვლა, მივედი ადგილკომში მარა ატკაზი მიწუ.

აჭარული: — მეც დამიღინგლვი, ქოვ, გევიგე თუ არა ყრბეთში ფართლის მიღება, შევში ადგილკომთან და შევებეწე: ფაშავ, შარვალის ტალონი მომეცი-მეთქი... გათავდაო, მითხრა.

გურული: — არა, მიკვირს ძამიავ, აი ტალონი ყველას დუღურგეს

და ჩვენ კი დაჯრით სპარტათ. აი მიდგომ — მოდგომაც ამას ქვეი.

მეგრული: — სიკოჩი, ბუეშმაყოფა დაიწყეს. სი გიჩქი ირიფელი, აი საქმე რაფერ კეთდება.

აჭარული: — ტოლრი უნდა გითხრა აი საქმე გეჩქე გასაკვირია. ქოვ და ფართალს ყველას უგზავნიან, აგინი კი ნაცნობებს აძლევენ.

გურული: — აი, ძამიავ რა საქმეა. აქანაი კარტის თამაში ყოფილა! ვინც მოუსწრობს, იგი დებულობს ფართალს, ასეთ თუა, იმისანას გევიქციე, რომ კატა ვერ მომეწევა.

მეგრული: — ენა ვარი გიმიია, რულამე ცხენი ვეგმოჭიშლანს.

აჭარული: — რას დელომ, ქოვ! ჩემისთანაი ზოელი გაქცევა ვინ იცის? რომ მევენდომო, აჯურშუმი ვერ დამეწევა.

გურული: — ნუ გეშინია ბიჭებო, ვინც ასეთ პროტექციით აკეთებს საქმეს, იმას ბოლოს არ მოუყა კიჩვენც ვიცით გზაი, ვიძახოთ იგინთ ვაი, დუღურგით ქვეი, ჩუღმტვრით ყბაი.

ბუფგუთი.

ბ ლ ღ ღ რ ი

ხლისტს (ქუთაისი) შე კაი კაცო, თუ კი:

- ვაბუნია ვლადიმერი
- დენიკინის ოფიცერი
- საბჭოების არის მტერი,
- აღჩუზე აქვს მაინც ცერი.
- მოკალათდა აღმინავანში,
- ვერ ეტევა თავის ტანში.
- მულამ დადის რესტორანში,
- დანავარდობს მთელს უბანში, — რალა ჩვენ

გვიგზავნი, ხლისტი წენა ხარ და ერთი მგარად ვადაუქირე. ხოლო თუ ამან ვერ უშველოს, აი, შემდეგ „გვიფეშქეზეთ“ ჩვენ

პავლე-ლალის. (სამტრედია). გულნატენი რომ არ დარჩეთ ჩვენზე, გიბეჭდავთ ლექსს ბათუმის რადიოს შესახებ:

-- რაშია საქმე? — მოდით, იკითხეთ
რომ შემოუჩნდა ის სამტრედიას.
ის ჩვენს რადიოს აძახებს „ხი-ხი“-ს
და დღეს გვიტირებს ყველას დედიას.

ალბად წინედ გამოგზავნილი ლექსებიც ასეთი იყო და ამიტომ არ დაგვიბეჭდია, ხოლო, რაც შეეხება იმას, რომ „გოდორში“ არ გიპასუხეთ, — პატივი გიციია თქვენთვის, და ამისთვის საყვედურს რას გეშართლებთ?

გუსინს (შემოქმედი, გურია). სამკითხველოს გამგეზე სწერო:

- ორი სიტყვით მოგახსენებთ
- როზორია ჩვენი შალვა:
- ხშირად უყვარს მას წიგნებში
- დვინის ბოთლთა გადამალვა
- ქალთა ტრფობა, ბნედა, დაგვა,
- შორით კდომა, შორით ალვა
- მკითხველს მართებს მორიდება,
- მისი ჰქონდეს შიში-კრძალვა.

როცა რუსთველისათვის მიგზავდავთ, ლექსი კარგი დაგიწერით, ხოლო, სადაც საკუთარი თქვენი შემოქმედება, იქ არ ვარგა თქვენი ლექსი.

მინაშვილს, სოფ. ძველი - აბაშის (სენაკის მაზრა) პირველ სამკითხველოზე, ასე სწერო:

უპატრონო სამკითხველო

ტარტაროზო, უნდა გითხრა
ჩვენი სამკითხველოს ბედი:
მულამ ხშირი წვიმისაგან
დამშალი აქვს გვერდი, — ხოლო მეორე სამკითხველოზე, ასე:

უპატრონო სამკითხველო
ქოხო ჩემო, ბედი არ გიწერია,
ჩანგსაც მართლაც შენთვის არ უფლერია.
გულო ჩემო დადაგულო, დელოა...
ქოხო ჩემო ბედი არ გიწერია.

ტარტაროზი ამის წაკითხვის შემდეგ უცბად ლექსის წერის ხოშზე მოვიდა და თქვენი ლექსი ასე განაგრძო: კაცო, გვითხარ, ეს რა დაგიწერია?!

თქვენს ლექსს მართლაც ბედი არ უწერია.

კომბალას. თქვენი „გლენხის სიმღერა“ ასი იწაკება:

როცა მივდივართ ქალაქში,
ჩავხსდებით ყველა ტივშია.
ღარიბი გლენხი შევერდით,
შევდივართ კოლექტივშია. ალბად კოლექტივში ტივით იმიტომ შესულხართ, რომ რითმა გამოგვხანათ კოლექტივისათვის. ისიც შესაძლებელია — კოლექტივში იმიტომ შესულიყოთ, რომ ტივისთვის რითმა გამოგვხანათ.

ტრაქტორზე როცა დავხსდებით,
ვითყვით სიმღერას ტკბილსაო
ჩვენ ყველა ბედნიერი ვართ,
კულაკებს ვაძრობთ კბილსაო.

აქაც მხოლოდ რითმის გამო დავიძვრით კულაკებისათვის კბილები.

თუჯის და ლითონის
მსხმელი მეთანიკური ჰარხანა

პარმრეწველობის

ქ. ბათონი, ბაქოს ქ. № 50.

აწარმოებს შეკვეთების შესრულებას ყოველგვარ
მექანიკურ

შეკეთებებს

და მანქანების ნაწილების

დამზადებას

აგრეთვე აწარმოებს ჩამოსხმას თუჯის და ლი-
თონის ნაწარმოებისას.

დამზადებს შეკვეთებს

ხიდეების გასაკეთებლად

და სხვადასხვა

საქვავო სამუშაოებს

პა. ბათონის საბჭო

ამით აღსადგებს, რომ კერძო
მოღვაწეობისაგან

გაერთიანებული

სახეობები

„ფრანცია“ ორჯონიკიძის ქ. № 8 და

„აჭარისტანი“ შმიცის ქ. № 2

გაპროექტორი შეკეთების შემდეგ
ანარმობას სტუმრების მიღებას.

აგრეთვე ამ დღეებში დამთავრდება კაპიტა-
ლური რემონტი სასტუმრო

„ინტერნაციონალისა“

ქუთაისის ქ. № 8, რომელიც გამოყოფილია სპე-
ციალურად საზღვარ-გარეულ ტურისტებისათვის

საქ. სახეობების

აჭარისტანის განყოფილება

თანახმად რ/ცენტრალური სამმართველოს გან-
კარგულებისა ა.-წ. 1-ლი აპრილიდან განაწი-
ლებულია ორ დამოუკიდებელ დარგად:

საკომერციო განყოფილება,

რომელიც აწარმოებს საბითუმო და საცალო
ვაჭრობას ფართე მომარაგების საგნებით

და

„მრეწველმომარაგება“

რომელიც აწარმოებს აგრეთვე საბითუმო და
საცალო ვაჭრობას სამრეწველო და საამშე-
ნებლო საგნებით

საკომერციო განყოფილებას აქვს
სამი სავაჭრო წერტილი:

ორჯონიკიძის ქ. № 16, ქუთაისის ქ. № 45 და
ქუთაისის და ლიუქსენბურგის ქ. კუთხე №№ 5

„მრეწველმომარაგებას“ აქვს
შემდეგი სავაჭროები:

ორჯონიკიძის ქ. № 9—7, კამოს ქ. № 5, ცხა-
კაის ქ. № 43 და ქ. ოზურგეთში სატყეო სა-
მსალო საწყობი.

საქ. სახეობ. აჭარ. განყოფ.—ბა.

ბათონის

საბინაო საიჯარო კო-
ოპერატიულ ამხანა-
გობას აქვს:

საზოგადოებრივი სამუშა-
რეულოვს წერტილი:

სადურგლო სახელოვნო,
ჭრა-კერვის სკოლა და
საკუთარი სააღმშენებ-
ლო მასალის საწყობი.

გამგეობის თავმჯდომარე: ბ. ცინცაძე

სსაქს. სსე-ბის „საბჭოთა დასავლეთ ფლტის“

გათომის განყოფილების

ნავთსადგურის სამხარეთველოსთან შეერთების გამო,

საბჭოთა ფლტის სამხარეთველო

გადავიდა ამ უკანასკნელის შენობაში ფშილტის ქუჩა № 14, სადაც შეუძლიანთ მიმართონ დაწესებულებებმა და დაინტერესებულმა პირებმა,
მმართველი გრ. ბ უ კ ი ა

ა.-კ. სახვაჭროვის
გათომის განყოფილება
უიფულთეს ნოსებს
 წინადადებით მიმართეთ კანტორაში
ფშილტის ქუჩა № 1
 (საბაეოს სახლი) ტელეფონი № 41

ЦИНКОВАЛЬНЫЙ ЗАВОД АДЖАРПРОМА
— БАТУМ —
КАРСКАЯ УЛ. № 29
ИЗГОТОВЛЯЕТ
Пластичные принадлежности
 ведра, лаханки и другие ацинкованные изделия

აჭარისტანის ფითელი მუჟარის კომიტეტის
წარმოება-დაწესებულებანი:

- | | |
|---|--|
| 1. სახმართველო, ორჯონიკიძის ქ. № 14. | 7. აფთიაჟის მაღაზია № 1, ლენინის № 18. |
| 2. აფთიაჟი, ინტერნაციონალის № 10. | 8. აფთიაჟი მაღაზია № 2, ასათიანის № 4. |
| 3. ცენტ. აფთიაჟის საფუძოი ინტერნაც. № 4. | 9. " " № 3, ორჯონიკიძის № 48 |
| 4. მიწველების და გაზაფხის საფუძოი კამო № 6. | 10. " " № 4, ლენინის № 60 |
| 5. სახტარლიზაციო კამერა ლიუქსემბურგის № 18 | 11. მიწველების მაღაზია, ფშილტის № 4. |
| 6. საკომინიო მაღაზია ასათიანის № 4. | |

აჭარისტანის ჯანსაზკომისარიატის სააფთიაჟო სამმართველო ქალ. გათომში

აწარმოებს გაყიდვას ყოველგვარ საპარფიუმერიო-კოსმეტიურ და სანიტარიის და გიგიენის საგნების, ავადმყოფების მოსაყვლელი ნივთების მინერალურ წყლებისა და შემდეგი წურტებიდან:

- | |
|--|
| 1. ცენტრალურ საფუძოიდან ლენინის ქუჩ. № 22 |
| 2. სანიტარიის და გიგიენის მაღაზიიდან № 1 ინტერნაციონალის ქ. № 13 |
| 3. " " " " № 2 კოპერაციის ქუჩა № 44 |
| 4. " " " " № 3 ლენინის ქუჩ. № 22 |

პ 345
1930

აგებები ინდოეთიდან

სამხრეთ-დასავლეთი
კავშირების
სამსახური
16
საქმე



მადონალი: როგორ?! ეს რა არის, რომნაციონალურ ტრადიციისთვის გილატინა და თავზე ინდოური ჩაღმა დავიხურავს?!
— ბატონო ჩემო, ეს ჩაღმა არ არის., თავში დამკერვს და მარლით მაქვს თავი შეკრული.